№ 238
ნოემბრის 7, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

# ივერია

№ 238
ნოემბრის 7, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში**:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

**ბათუმში**: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**ბაქოში**:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**საბუნჩაში**. პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდს გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
**ღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად**

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

## სურათებიანი დამატება

### გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით

**ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.**

ჟურნალ **„მოამბის“** ხელის მომწერთ **„ცნობის ფურცელი“** გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

**„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.**

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“—„მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“.

**ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.**

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite“. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

**მ. გ. აველისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 12. ტელეფონი 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა

**ავ. ცაგარლისა**

### როგორც მოხვალ სვირო, ისე წახვალ შინაო

თანამედროვე სცენები 4 მოქმედებად.

II

### არც აქეთ არც იქით

ვოდევილი ერთ მოქ. რუსულიდგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, როსტომაშვილი და სხ. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე ს. სვიმონიძე, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მუშაკი და ნეაიერი“, „მსხვერპლი უხასიათობის“ და „მზეს მოკლებულნი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

ხვალ, პარასკევს, 8-ს ნოემბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილ იქნება

მომავალ ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოდ

I

### ლაკმე

ოპერა 3 მოქ. მუზიკა ლეო-დელიბოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვან-დირბრანდტი, არ კიბაშეია, დორჟანსკისა, პეტროვსკისა, ბაუერი; ბ-ნნი: ლენსკი, სუნცოვი, ჩემეზოვი და სხ.

II

**ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით

### პიკის ქალი

(მე-II და მე-III სურათი მე-III მოქმედებისა, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნ: პეტროვსკისა; ბ-ნნ: ბონაჩიჩი, გრადოვი, სერგეევი, პეტროვი, პევცოვი, ხარიდონი, სვაბოდინი და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანთან (ნიკ. ქუჩა, საკუთარი სახლი, № 106). წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში.

(2—მ.—1)

**კბილის ექიმი**

**ივანე პავლეს ძე**

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

## ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

## ტფილისი

✦ დღეს, 6 ნოემბერს, ექსარხოსის განკარგულებით, გადახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი ყარსის ციხის 25 წლის აღების გამო და აგრეთვე პანაშვიდი ციხის აღების დროს დახოცილ მხედართათვის.

✦ ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ეპისკოპოზი გურია-სამეგრელოსი, გაცივდა ს. ბანძაში და ფილტვების ანთებით გახდა ავადაო; როგორც ექიმებმა გადმოგვცეს, მისი მეუფება ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია. მასთან არიან მისი ძმისწულები: ყოვლად-სამღვდელო იმერეთისა ლეონიდე და მღვდელ-მონაზონი პიროსი.

✦ გუშინ, 6 ნოემბერს საეკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის საზოგადოების სიძველეთ-საცავი დაათვალიერეს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის მოწაფეებმა. ნახეს სხვა-და-სხვა საუკუნის ტყავზე ნაწერი წიგნები, ფულები, შესამოსლები, იარაღი, სურათები და სხ. მოწაფეებს ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტის მასწავლებელნი—საღმთო სჯულისა დეკანოზი ზვერიევი და რუსული ენისა პეტრე ნიკოლ. პავლოვი. ნახულითა და გაგონილით ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ მომავალნი მასწავლებელნი.

✦ ახალ ათონის მონასტერში წაბრძანება მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოს ალექსის, უამინდობის გამო გადუდვია გაზაფხულისთვის.

✦ ნამდვილად შევიტყეთ, რომ დეკანოზის ვოსტორგოვის გადაყვანის ამბავი ვარშავაში, სიმართლეს მოკლებულია.

✦ დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა; წარმოადგენენ განსვენებულის ა. ცაგარლის ახალ ოთხ მოქმედებიან კომედიას „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“. დასასრულ წარმოდგენილი იქნება ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“.

✦ ამ ზაფხულს სიონის ტაძრის ეზოში დაიწყეს ორ-სართულიან სახლის აგება პირველ ვიკარის სადგურად. ამ ჟამად სახლი უკვე მზად არის.

✦ ჯერ კიდევ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში სამსახურის დროს დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ დიდი ყურადღება მიაქცია ქართულ გალობას და კიდეც სასურველად მოაწესრიგა ამ ეკლესიაში ეს საქმე. ამ ჟამათ მამა ტყემალაძეს განუზრახავს სიონის ტაძარშიაც დააარსოს სამუდამო ხორო, რომელმაც უნდა იგალობოს ყოველ კვირა-უქმობით. მამა ტყემალაძეს უკვე მიუმართავს გალობის ზოგიერთ მცოდნეთათვის; ხოროს გამმართველს მიეცემა წლიურად ასი თუმანი, ხოლო ხორომ უნდა იგალობოს რუსულადაც და ქართულადაც.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის განკარგულებით, ამ დღეებში მოჰხდა ტფილისის აფთიაქების და აფთიაქის მაღაზიების რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ეს აფთიაქებიცა და სააფთიაქო საქონლის მაღაზიებიც საშიშია ცეცხლის მხრივ და სთხოვა პატრონთ ყოველი ღონისძიება მიიღონ მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად.

✦ მომავალ ოთხის წლის ხმოსნობის თანამდებობაზედ მთავრობას დაუმტკიცებია ისინი, რომელნიც ამორჩეულ იქმნენ წარსულ არჩევნებზედ; ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო მალე გამოაცხადებს დამტკიცებულს სიას და მოსალოდნელია, რომ ამ თვის ნახევრამდის ახლად ამორჩეულნი ხმოსნები მიიღებენ ფიცს და ახალ საბჭოს კრება დაინიშნება 20 ოკდომბრამდის.

✦ რუსეთიდამ გადმოსახლებულ გლეხკაცთა მფარველ საზოგადოების გამგეს, ბ-ნ როზალიონ-სოშალსკის, უკვე აღუნიშნავს ის ადგილები, სადაც უნდა დასახლებულ იქმნან რუსეთის გლეხ-კაცნი; ბ-ნ როზალიონ-სოშალსკის აღუნუსხავს 55 ადგილი, რომელიც შეიცავს 85,170,46 დესეტინა მიწას; მისის ანგარიშით, ამ ადილზედ უნდა დასახლდეს 12,233 სული კაცით.

✦ შაბათს, 2 ნოემბერს, ირაკლის ქუჩაზედ შუადღის 12 საათზედ აკურთხეს საძირკველი იმ სახლისა, რომელიც სიონის ტაძრის კრებულისათვის შენდება. კურთხევას დაესწრო მათი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ექსარხოსი ალექსი, სიონის ტაძრის კრებული, სასინოდო კანტორის პროკურორი და მრავალი სამღვდელოება; შენობას ზედამხედველობს სიონის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე; სახლი სამ სართულიანი იქნება; რადგანაც მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს შენობაზედ და მამა ტყემალაძეც არ აკლებს თავის მუყაითობას, ამიტომ შენობის დამთავრება მაისისთვის გარდაუწყვეტიათ.

✦ ამ ოთხი-ხუთი წლის წინად ტფილისის სამღვდელოებამ დაადგინა იყოლიოს ქართული საეკლესიო გუნდი, ამ გუნდის შესანახად ყველა ეკლესიის კრებულმა იკისრა გარდაეხადა ხვედრი ფული, ეს დადგენილება უკვე დამტკიცებულია ექსარხოსისაგან; რასაკვირველია სანამ ეპისკოპოსნი ლეონიდი და კირიონი იყვნენ, ამ კეთილ საქმეს მუყაითობას არ აკლებდნენ და პატრონობდნენ და გუნდიც მოქმედებდა; საუბედუროდ გადიყვანეს ეს მწყემს-მთავარნი ტფილისიდგან

და გუნდმაც შესწყვიტა მოქმედება; გადის აგერ თითქმის 8—9 თვე და გუნდის ხსენებაც აღარ ისმის; ამ ჟამად ალავერდის ეპისკოპოზს დიმიტრის გაუცვნია-რა საქმის მდგომარეობა და დამტკიცებული ჟურნალი, განუზრახავს ხელმეორედ განაახლოს ეს ფრიად საგულისხმიერო და კეთილი საქმე; ამ ჟურნალის ძალით, ეპისკოპოზს მიუწერია ყველა ქართველ მღვდლისათვის, წარმოადგინონ ხვედრი ფული ამ ხოროს შესანახად და სიონის კანდელაკისათვის, მამა თოთებაძისათვის, როგორც ამ საქმის მოთავისთვის, დაუვალებია ამ ცოტას ხანში მოახდინოს იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც მინდობილი აქვს ხოროს მოწყობა; კომისიის წევრთ უკვე დაეგზავნათ ბარათები და ამ დღეებში დანიშნულია კომისიის კრება, რომელიც გადასწყვეტს მგალობელთა გუნდის ბედ-იღბალს.

✦ ქალაქის სამხედრო საკრებულოს უკვე წარუდგინა რამდენიმე ყმაწვილი კაცი, რომელნიც თავს არიდებდნენ სამხედრო ბეგარაში გასვლას; ესენი ჩაირიცხებიან ჯარის-კაცებად კენჭ ამოუღებლივ, რადგანაც თავიანთ ნებით არ გამოცხადდნენ კენჭის ამოსაღებად.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის დადგენილებით, აღარავის არ მიეცემა ნება გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტზედ ტრაქტირების გაღებისა; პოლიციამ აღუკრძალა აგრეთვე ამისთანავე სავაჭრო დუქნებისა და ლუდხანების დახსნა ლორის-მელიქოვისა, ოლგისა და ვერის ქუჩებზედ და საზოგადოდ იქ, სადაც მცხოვრებნი მჭიდროდ არიან დასახლებულნი.

✦ მეექვსე საბოქაულოში მცხოვრებლებს პოლიცმეისტერისათვის გამოუცხადებიათ, რომ სურვილი გვაქვს სახლების წინ, ქუჩის ნაპირზედ, დარგოთ ხეები და გვიშუამდგომლეთ ქალაქის წინაშე, რომ მან იკისროს დასარგავ ხეების შოვნაო.

✦ ქალაქის სამხედრო საკრებულოს გაუნთავისუფლებია, სამხედრო ბეგრისაგან ათი კაცი, რომლებიც იმ ყმაწვილ კაცთა მაგიერ იყვნენ ჩარიცხულნი, ვინც თავის ნებით არ გამოცხადდა კენჭის საყრელად.

✦ გუშინ 6 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა სტიპენდიები I და II ქალთა გიმნაზიებში მოსწავლე ქალებს, პირველ გიმნაზიაში თავისუფალი იყო ორი სტიპენდია. თითო ათ-ათ თუმნიანი; ამ სტიპენდიის მისაღებად გამგეობას მიუღია ასი თხოვნა, ამათში ისეთებსაც მიურთმევიათ თხოვნა, რომელთაც თვალ-საჩინო შეძლება ჰქონიათ; პირველ გიმნაზიის ორი სტიპენდია დაუნიშნათ მეოთხე კლასის მოსწავლე ქალს ელენე ციკაბენკოს და მესამე კლასის მოსწავლეს ლიუდმილა ილიუშენკოს; მეორე გიმნაზიის სტიპენდიის მისაღებად მიურთმიათ 16 თხოვნა, ხოლო ეს სტიპენდია დაუნიშნა მესამე კლასის მოსწავლე ქალს, ალექსანდრა ანდიონისას.

✦ ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია დიღმისა და ეჟევოის ქუჩებზედ დაჰმართოს სანაგვე ყუთები და ფეხის ადგილები. ქალაქის გამგეობის ტეხნიკოს აბნაზაროვისათვის გარდაუცია ყოველივე ქაღალდები და დაუვალებია აღსრულებაში მოიყვანოს ეს გარდაწყვეტილება.

✦ გუშინ, 6 ნოემბერს, ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დანიშნული იყო ქალაქის ღამის თავშესაფართა მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება.

---

**სამეურნეო საზოგადოების კრება**. სამშაბათს, 5 ამა ნოემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კიდევ სჯა ჰქონდათ ბ-ნი ტიმოფეევის მოხსენების გამო კავკასიაში სამეურნეო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. წინა კრებაზე, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, საზოგადო კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა კავკასიაში პოლიტეხნიკუმისა, საშუალო სარაიონო სამეურნეო სკოლების და პრაქტიკანტ-მუშების სკოლების დაარსებისათვის. კრება, რომელსაც თავჯდომარეობდა უგანათლებულესი თავადი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, დაიწყო საღამოს 8½ საათზე. სანამ მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, რომელიც მცირე ცვლილებით დამტკიცებულ იქმნა. როგორც წინა კრებაზე, ისე ამ საღამოსაც ცხარე კამათი გამოიწვია ბ-ნ ტიმოფეევის და კომისიის მოხსენების იმ ნაწილმა, რომელიც სამეურნეო საგნების სწავლებას უარყოფდა პირველდაწყებით სახალხო სკოლებში. სამეურნეო განყოფილებანი, კომისიის აზრით, ნორმალურ ორ-კლასიან და სამოქალაქო სასწავლებლებში კვლავაც უნდა არსებობდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სწავლა სამეურნეო საგნებისა ამ განყოფილებებში უნდა სწარმოებდეს სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, ნასწავლ და გამოცდილ აგრონომების კონტროლით. გარნა პირველ-დაწყებით სკოლებში-კი, კომისიის აზრით, სამეურნეო განყოფილებანი სრულიად უნდა მოისპოს, რადგანაც სახალხო სკოლა თავის პირდაპირ დანიშნულებასაც რიგიანად ვერ ასრულებს. საზოგადოების საბჭო-კი კომისიას ამ უკანასკნელ მოსაზრებაში არ ეთანხმება, და პირ-იქით საბჭო ფიქრობს, რომ პირველ დაწყებითი სკოლების საშუალებითაც შესაძლოა სამეურნეო ცოდნის გავრცელება ხალხში, ხოლო სამეურნეო განყოფილებანი ამ სასწავლებლებში სპეციალისტთა, აგრონომთა ხელმძღვანელობით უნდა სწარმოებდეს. ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნ პერევოზნიკოვმა თავის ვრცელ სიტყვაში განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ სახალხო სკოლებს სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში არ დაუმსახურებიათ ის საყვედური, რომელსაც საზოგადოების ზოგიერთნი წევრნი აწერენ მათ. სახალხო სკოლებს პირ-იქით ამ მხრით დიდი ღვაწლი მიუძღვით. სადაც-კი ამ გვარი განყოფილებანი არსებობენ, ადგილობრივი მკვიდრი ბევრს საგულისხმოს და სასარგებლოს ხედავს ამ სკოლებში და ამიტომ კიდევაც დიდის თანაგრძნობით და ნდობით ეპყრობა. სახალხო სკოლებში არსებულ სამეურნეო განყოფილებებს, ბ-ნი პერევოზნიკოვის სიტყვით, ბევრად ხელი შეუწყვია ადგილობრივ მკვიდრთა შორის სამეურნეო ცოდნათა გავრცელების და დამკვიდრების საქმისათვის. ამ განყოფილებების მეოხებით მეურნეობის ესა თუ ის დარგი განვითარებულა, აყვავებულა. ამის დასამტკიცებელი მაგალითები მრავალია. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ნაყოფიერება ყველასაგან ცნობილია და სამეურნეო განყოფილებებს კავკასიის ამ კუთხეში დიდი ღვაწლიც მიუძღვით. გურია-სამეგრელოში აბრეშუმის მოყვანის საქმე, მეურნეობის ამ დარგის განვითარების საქმე სახალხო სკოლების საშუალებით მოხერხდა. ამნაირად ბ-ნი პერევოზნიკოვის აზრით არსებული სამეურნეო განყოფილებანი სახალხო სკოლებში დღემდისაც ღირსეულად ავრცელებდენ და კვლავაც მათის საშუალებით მოსალოდნელია მეურნეობა გავრცელდეს ხალხში. აგრონომმა სააკოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა ბევრის „კურიოზების“ თქმა, მაგრამ ისეთის „კურიოზისა“, ვითომც უსპეციალისტოთ შესაძლო იყოს ასეთის სამძიმო და რთულის საქმის გავრცელება, როგორიცაა მეურნეობა, ამას-კი არ მოველოდით. აბა, რა საფიქრებელია, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელმა, რომელსაც სამეურნეო საგნების ცოდნა არა აქვს, და თუ აქვს, ისიც შემთხვევით და ზერე ქვერეთ შეუძენია, რიგიანად წაიყვანოს ეს სამძიმო საქმე, და ამავე დროს თავის პირდაპირ დანიშნულებას არ უღალატოს. სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმე მხოლოდ მაშინ მოეწყობა რიგიანად, როცა ადგილობრივ მკვიდრს ნათლად გაუთვალისწინებ ყველა იმ ახალს გზებს სამეურნეო ასპარეზზე, რომელიც აწინდელ დაქვეითებულ მეურნეობას, აწინდელ გლეხის პატრიარქალურად წარმოებულს მამულს მალამოს სცხებს, გაუმჯობესობის ნიადაგს მოუპოვებს, ახალის წარმოების ტეხნიკას შეასწავლის. განა, ყველა ეს შესაძლოა, განა ამას შესძლებს სახალხო მასწავლებელი, რომელიც ათასი სხვა მრავალ გვარი სამძიმო საქმითაა დატვირთული! ვიმეორებ, ისიც დიდი საქმე იქმნება, თუ სახალხო პირველ დაწყებითი სკოლებმა თავისი პირდაპირი დანიშნულება პირნათლად აღასრულეს მაგრამ სამწუხაროდ, სახალხო სკოლების მოწაფენი ბევრის გამოცდილი პედაგოგების მოწმობით წერა-კითხვასაც-კი ივიწყებენ სკოლის დამთავრების შემდეგ. ჩემის აზრით, ის ხარჯი, რომელსაც საერო განათლების სამინისტრო სამეურნეო განყოფილებების შესანახად ეწევა, წერა-კითხვის გავრცელების საქმეს მოახმაროს. თუ ხალხში სწავლა-განათლება რიგიანათ ფეხს მოიკიდებს, სამეურნეო ცოდნის გავრცელება უფრო ადვილი საქმე შეიქმნება. თუ რამდენად ნაყოფიერია აწინდელი სამეურნეო განყოფილებების არსებობა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ახალციხის სამეურნეო განყოფილებაზე ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში რამდენიმე ათი ათასი მანეთია დახარჯული და განყოფილებას ერთიც მომზადებული, სოფლისათვის სასარგებლო მეურნე დღემდის არ აღუზრდია. ჩვენის აზრით ეს მაგალითი ძრიელ საგულისხმოა და ღირს, ვგონებთ, სერიოზულად ჩაუფიქრდეთ ამ სამწუხარო გარემოებას. ბ-ნ ივანე როსტომაშვილმა მოაგონა საზოგადოებას ხალხური ანდაზა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“. რა მივიციათ სახალხო სკოლებისათვის და რა უნდა მივსთხოვოთო. ჩვენი უღრმესი აზრი ისაა, რომ სამეურნეო საგნების სწავლება არა თუ სახალხო სკოლებში, ვიდრე უნივერსიტეტამდის და სხვა უმაღლესს სასწავლებლამდის სავალდებულოდ უნდა იყოს მიჩნეული ყველა სასწავლებლებში, ყველასათვის აუცილებელ ვალდებულებას უნდა შეადგენდეს სამეურნეო ცოდნის შეძენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლოა გავრცელდეს სამეურნეო ცოდნა ხალხში, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიკიდებს მეურნეობა მკვიდრ და საფუძვლიან ნიადაგს. თუ ასე სავალდებულო არ იქმნება მეურნეობის სწავლება სკოლებში მანამდის, ჩვენის აზრით, ყოველივე საყვედური აწინდელ სახალხო სკოლებისადმი უსამართლოთ და სრულიად დაუმსახურებლად ჩაითვლება. ბ-ნი პეტრე სურგულაძე წინაამდეგ ბ-ნ პერევოზნიკოვისა ამტკიცებდა, რომ აწინდელი სახალხო სკოლის მოღვაწეობა უნაყოფოა, იგი არა თუ სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, თავის პირდაპირ დანიშნულების აღსრულებასაც რიგიანად ვერ უძლევს. სახალხო სკოლები რაც დრო მიდის უფრო და უფრო შორდება თავის დანიშნულებას, სწავლის საქმე უფრო და უფრო ფერხდება. მე ახლო ვიცნობო, განაგრძო ბ-ნმა ორატორმა, ჩვენ სახალხო სკოლებსო და სამწუხაროდ უნდა აღვიარო ზემო აღნიშნული ფაქტიო. როცა დღეს დღეობით ვუკვირდები ჩემს თავს, ჩემს ამხანაგებს, რომელთაც სახალხო სკოლებში გვისწავლია, და აგრეთვე მათ, ვინც ამ ბოლო ხანს სწავლას ამთავრებენ ამავე სკოლებში, სრულიად გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ კიდევ ცოტათი მაინც რაიმე გაგვეგებოდა, ცოტათი რამ მაინც ვიცოდით, გარნა თუ ეხლანდელ სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულების გონებრივ ავლა-დიდებას გავითვალისწინებთ, სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ უკანასკნელთ არაფრის არა გაეგებათ-რა. სკოლას ისეთი ზეგავლენა ჰქონია მათზე, რომ წერა-კითხვაც კი დავიწყებიათ. ბ-ნი პერევოზნიკოვი მოგახსენებთ, რომ სახალხო სკოლების საშუალებით გურია-სამეგრელოში აბრეშუმის მოვლის საქმემ მეტად დიდი ნაბიჯი წასდგა წინაო. ეს ფაქტი სრულიად სიმართლეს მოკლებულია. გურია-სამეგრელოს მე კარგად ვიცნობ და ამ მხრით ბევრი დაკვირვებაც მაქვს ამ კუთხეებში. აბრეშუმის მოწევის საქმე, ვინ იცის, როდის განვითარდა ამ მხარეებში. მეურნეობის ამ დარგის წარმოება ქრისტეს დაბადებამდის კარგად ცნობილი იყო ამ კუთხეში და მაშინ ხომ სამინისტრო სკოლები არა ყოფილა, რომ მათის საშუალებით გავრცელებულიყო ხალხში ეს წარმოება. ეს ფაქტი რომ ლეგენდარულად ჩავთვალოთ, მეორე ცხადზე უცხადეს ფაქტს სად წავუვალთ. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ გურიაში აბრეშუმის მოვლის საქმეს მხოლოდ დედაკაცები ეწევიან. არავის არ უნახავს და არც გაუგონია, რომ მამაკაცებს ამ მხრით რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეთ. თუ ეს ასეა, მაშ სახალხო სკოლები აქ რა შუაშია, როცა ამ სკოლებში უმეტეს ნაწილად მარტოდ მარტო ვაჟები სწავლობენ. განა ამის შემდეგაც შესაძლოა კაცმა ამტკიცოს, რომ გურია-სამეგრელოში სახალხო სკოლებმა ააყვავეს აბრეშუმის მოწევის საქმეო!.. ჩვენ, როგორც ეს წინა კრებაზედაც მოგახსენეთ, იმ აზრისა ვართ, რომ სამეურნეო განყოფილებანი უნდა ჩამოშორდნენ სახალხო სკოლას; ეს ამ სკოლათათვის ზედმეტი ტვირთია. სახალხო სკოლას უამისოდაც მძიმე უღელი ადგას. სახალხო სკოლის მოწაფეებს უბრალო წერა-კითხვის შეთვისებაც უჭირთ მათთვის გაუგებარის ენის საშუალებით და აბა რა წარმოსადგენია, რომ რთული და ძნელი სამეურნეო საგნების შეთვისება არ გაუჭირდეთ ამ ენაზე. მცირე კამათის შემდეგ თავმჯდომარემ საკამათო საგანი გამორკვეულად ჩასთვალა და კენჭი უყარა შემდეგს სამს წინადადებას საზოგადოების საბჭოსას, კომისიისას და ალ. ქალანთარისას. საბჭოს წინადადება იყო, რომ სამოქალაქო, ნორმალურ და პირველ დაწყებით სკოლებში სამეურნეო განყოფილებანი სავალდებულოდ უნდა არსებობდნენ, მხოლოდ სპეციალისტების ხელმძღვანელობით, კომისიის წინადადებით—სამოქალაქო და ნორმალურ სკოლებში სამეურნეო განყოფილებანი დარჩეს მხოლოდ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, პირველ დაწყებით სკოლებში-კი სრულიად გაუქმებულ იქმნას. ბ-ნი ალ. ქალანთარი საზოგადოების საბჭოს წინადადებას ეთანხმება იმ განსხვავებით, რომ პირველ დაწყებით სკოლებში სამეურნეო განყოფილებანი გაიხსნას მხოლოდ, სადაც ეს შესაძლოთ მოხერხდესო. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა საზოგადოების საბჭოს წინადადება. შემდეგ ამისა გიორგი დურმიშხანის ძე ჟურულმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება: „კოოპერაციების განვითარების შესახებ დასავლეთ ევროპაში“, რომლის შინაარს მკითხველებს ხვალ გავაცნობთ.

კრება გათავდა ღამის 12 საათზე.

---

### † გრიგოლ გიორგის ძე წულუკიძე.

(ნეკროლოგი)

ამ თვის პირველს ქალაქში უეცრად გარდაიცვალა მადნის ცნობილი ინჟენერი და გეოლოგი თავადი გრ. გ. წულუკიძე. განსვენებულმა სწავლა წარჩინებით დაამთავრა 1855 წელს პეტერბურგის

---

## ფელეტონი

### მიტრო ჭედილაშვილი

(მოთხრობა)

### XV *)

მიდიოდნენ ჩუმად და რაღაცა უსიცოცხლოდ; ოფლი წკურ-წკურით ჩამოთქრიალებდა მიტროს პირისახეზე. მაროს გულში ათასი ბოღმა და დარდი ტრიალებდა. მის სპეტაკსა და პატიოსანს სულსა და გულს ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი ქმარი შეჰხვდებოდა, ვერ მოენელებინა ასეთი დამცირება თავის თავისა, რადგან მთელი 16 წლიწადი არავის დაუმცირებია და დაუმონავებია.

— განა ეს არის ჩემი ბედნიერებაო?—ვიქრობდა გულში.—განა დედამ ასე მამატყუილა, ასე მიღალატა? ამ კაცის ხელში ჩამაგდო? არა, არა, დედაც მოატყუეს, დედაცა!—და ერთი მწარედ ამოიოხრა.

მიტროც მიდიოდა ჩუმად თვალების ბრიალით და წარბ-შეკრული ტუჩებს მოუსვენრად აცმაცუნებდა, ულვაშებს გაცხარებით იკვნეტდა; სიარულშიაც ხშირად წაიბორძიკებდა ხოლმე; კი არ მიდიოდა, მიფრატუნებდა.

მარო დრო-გამოშვებით შეჰხედავდა და ჯერ ცოტა შიში და მერე სიძულვილი იგრძნო მისდამი.

— გუშინ-წინ ჯვარი დავიწერეთ და დღეს თავადისას გულში ხელი მკრა!—გაიფიქრა მან და უფრო შეეშინდა მიტროსი.

სტყუვდებოდა მარო, თუ ეგონა, ახლა გადავრჩი და შინ მშვიდობით მივალო.

იმათი ვიზიტანობის ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო. იცოდნენ აგრეთვე ქრელოსას მომხდარი უსიამოვნებაც. გრიგოლმა მედუქნემ დილითვე გაიგო იმათი წასვლა სავიზიტოდ.

გაიგო თუ არა, იმ საათში დაუძახა ბუქნაშვილის 16 წლის ვანუას, გადააკვრევინა ორი „რუმკა“ არაყი, აჩუქა ერთი აბაზი ფული და დაავალა გადევნებოდა ნეფე-დედოფალს და ჩუმად ჯაშუშურად ედევნებინა თვალ-ყური იმათის მოქმედებისათვის. ვანუა სიამოვნებით დასთანხმდა და განა შეეძლო უარი ეთქვა? განა სოფელში გრიგოლას სურვილს წინ აღუდგებოდნენ გლეხები? ჰაი, ჰაი, რომ არა. გასწია ახალგაზრდა ჯაშუშმა ვიწრო ბილიკებით, ღობიდგან-ღობეზედ, გადახტა-გადმოხტა, მალე დაეწია მოდარბაზეთ, ყველდან მისდია, ყველგან თვალ-ყური ადევნა, ყველაფერი დაიხსომა და ფიცხლავ გრიგოლასაკენ მოჰკურცხლა და ყველაფერი გარკვევით ჩაურაკრაკა.

გრიგოლას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ის დღე კვირა დღე იყო, აუარებელ გლეხებს მოეყარათ თავი გრიგოლას დუქნის წინ და რაღაცას ყაყანებდნენ.

სანამ მიტრო და მარო სოფლის ბაზარს მოუახლოვდებოდნენ, იმათის დამცირების ამბავი არა თუ იმ უბანმა, არამედ მთელმა სოფელმა იცოდა, გრიგოლას შიკრიკების წყალობით.

გრიგოლა, ეს ბედოვლათიანთ კარის მგელი, იბარებდა თავის ცხვრებს, მოდით, სულელებო, რა სეირი გაჩვენოთო. და ისინიც მოდიოდნენ. მიუახლოვდნენ რა მიტრო და მარო დუქნებს, შეჰნიშნეს რომ მთელი ის ქუჩა სავსე იყო ხალხით, არა თუ ქუჩამდე, არამედ ღობის გადაღმიდანაც ბევრი იცქირებოდა ჰუჰუტანებიდან და ბავშვებს მთელი ქანდარა გაეკეთებინათ ღობეებზე. ყველანი იმათ აცქერდებოდნენ, ყველას თვალები საშინლად ელავდა ზიზღითა და დაცინვითა, ბავშვები ჩუმ-ჩუმად უსტვენდნენ, დედაკაცები თვალებამდე თეთრ ნიღაბ-აფარებულები ჩურჩულებდნენ და ქოქოლას აყრიდნენ ზურგს უკან ნეფე-დედოფალს. ერთმა ხმამაღლაც-კი წამოიძახა: „პადაჟდი მარუსაო“. ამის გაგონებაზედ მაროს რაღაცამ უკბინა გულში, მიტრომ-კი რევოლვერს ხელი წაავლო და მიაძახა დედაკაცს: შე საფლავ ძაღლო, დაიცე ეგ ენა, თორემაა... ამ დროს დაიძრა და აღელდა ბრბო. რამდენიმე მოსული ბიჭი უკანიდგან მისცვივდნენ მიტროს, სწრაფად ააცალეს რევოლვერი და ხანჯალი, შეერივნენ ხალხში და დაიძახეს, აბა, ხალხნო, „ურა“ და დატრიალდა ერთი ალიაქოთი: ბავშვებმა ასტეხეს ჟივილ-ხივილი, ერთი სტვენა, ერთი კივილი, დედა-კაცები გამოვიდნენ თავიანთ საფარიდგან და გველურად უსისინებდნენ მედარბაზეთ: „პადაჟდი მარო!“ „პადაჟდი მარო!“ და მთელმა ბრბომ, როგორც ერთმა კაცმა, გაიმეორა ეს ხმა „პადაჟდი მარო!“ „პადაჟდი მაროო!“

— რაო, არ მიგიღეს კნიაზებმა?

— დოხტურმა კარგად გაგაძღოთ?

— მარო, კნიაზებში რა გინდა, ჩვენც კაი ბიჭები ვართ!—ჰყვიროდნენ ჯეელები. აირია მონასტერი, დადგა ერთი კორიანტელი, სტვენისაგან და ყვირილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

გაჩაღდა თოვლით გუნდაობაც. დაუშინეს და დაუშინეს მიტროს ყოველ მხრიდგან მაგარ-მაგარი თოვლის გუნდები. მიტრო ჰყვიროდა, იგინებოდა უშვერზე უშვერის სიტყვებით, ციბრუტივით ტრიალებდა აქეთ-იქით, ბრბო-კი გათამამებული და წაქეზებული გრიგოლასაგან უარესათ გაანჩხლებული ილანძღებოდა.

მარო სულ კანკალმა აიტანა, აუწერელი იყო მისის სულის ტანჯვა ხან შიშისაგან გალურჯდებოდა, ხან სირცხვილისაგან ჭარხალივით წითლდებოდა. სიმწრის ოფლში იწურდებოდა, თანდათან სუსტდებოდა, თვალთ უბნელდებოდა, წაქცევას ბევრი აღარა უკლდარა, მისი მდგომარეობა იმ დროს მოგაგონებდათ კურდღელს ან ბატკანს, მიჯაჭვულს მგლის ფეხებზე. უღონო მსხვერპლი შიშისაგან კანკალებს, სიკვდილი ცხვირ წინ იქნევს ცელს და მთელს არსებას მღუღრავს თავის აუცილებელ საშინელებით; მიბაჯბაჯებს ბატონი მგელი და მიაჩხარუნებს ბორკილს მისი მსხვერპლი. ამ დროს საიდგანღაც გაჩნდება მთელი რაზმი შეიარაღებულ მონადირეთა და თოფის დამიზნებით სიკვდილს უქადის მჩაგვრელსაც და დაჩაგრულსაც.

მართლაც ამ დროს გამოქანდა საიდგანღაც უზარმაზარი ტალახში ამოთითხნული თოვლის გუნდა და მოჰხვდა უბედურ მაროს კისერში.

— დედილო, მიშველე!—ამოიკვნესა უმწეო ბავშვმა და ატალახებულ ქუჩაზე გრიგოლას დუქნის წინ ბრაგვანი მოადინა. შეიქნა ერთი სიცილ-ხარხარი, ერთი უშვერის სიტყვების წამოსროლა და გამხეცებული მიტრო მივარდა ცოლს, წაჰკრა ისეთი მუჯლუგუნი, რომ მარომ საშინლად დაიწივლა.

— გამოიარე ჩქარა!—მიაძახა მიტრომ, სტაცა ხელი და გასწია წინ.

ამ საშინელ ამბავს მოხუცი აზარიაც დაესწრო და მწუხარებისაგან მწარედ ქვითინებდა. მელამ წივილ-კივილით მოირბინა და ყველას ეხვეწებოდა შველას. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, მღვდელი მოდისო და ბრბო შეჩერდა.

როგორც იყო მიაღწიეს მედარბაზეთ სახლში და რა გუნებაზედაც იქნებოდნენ, ამას თქვენც წარმოიდგენთ, მკითხველო.

### XVI

იმ ღამეს მაროს დიდი სიცხე მისცა და მთელი ღამე სულ ბოდვაში გაატარა.

— დედა! დედილო, მიშველე, ეს რა ჯოჯოხეთია?, სადა ვარ? უსვინიდისო მიტრო, სად მიგყევარ? დედა! დედა! შემჭამეს, მშობელოო!—სულ ასე აბოდებდა და მეორე დღეს ჭვალი გამოაჩნდა მარცხენა გვერდში. დღედღეს ასწრობდა და მისი მდგომარეობა უარესი ხდებოდა. სთხოვდა ყველას, დედა დაუბარებინათ, მაგრამ გამგონე ვინ იყო? არც ექიმი, არც ფერშალი არ გააკარეს.

— რად მინდა დოხტურ-ფერშალი! მე თითონ დოხტური ვარო—გაიძახოდა მიტრო და მთელი ექვსის დღის განმავლობაში იპარავდა ქსენონის აფთიაქში რაღაცა წამლებს და ასმევდა ცოლს. მეშვიდე დღეს მარო უკანასკნელ დღეში ჩავარდა. მხოლოდ მაშინ აფრინეს დედასთან კაცი. სამხრობისას ქვრივი ნანა დაფეთებული მოიჭრა მომაკვდავ შვილთან და ელდა-ნაკრავი მაროს სასიკვდილოდ მიბჟუტულ თვალებით გაყვითლებულ და გაძვალტყავებულ სახით, გულ-საკლავად აქვითინდა და ჩაეკონა თავის გამხარებელს და დამმარხველ ქალიშვილს. საღამო ხანს, მარომ დედის გულზე მისვენებულმა, სულიც განუტევა. როცა მარო კვდებოდა, მიტრო აფთიაქში წამლებს იპარავდა, ის იყო ჰკეტავდა შკაფს, რომ უეცრივ ექიმი წააწყდა თავს. იმ საათში დააძახებინა მამასახლისს, მოწმეებს, იასაულებს, შეადგინეს ოქმი, და მიტრო ხელებშეკრული წაიბრძანეს ციხეში.

გაცრუვდა უბედური ნანას იმედები, დაილუპა და ჩაქვავდა საწყალი ნანა. აღარა ჰყავს თავისი მარო.

მეორე დღეს მარო, ლამაზ კუბოში გაპიმული, მისმა საყვარელმა და გულ-კეთილმა მეზობლებმა რიყისთავს წაასვენეს.

თუ, მკითხველო, ოდესმე შაბათ ღამით წმინდა შიოს სასაფლაოზე გავლა მოგიხდათ, გაიგონებთ ჭოტის დამასევდიანებელ ხმასთან ერთად დედაკაცის მოთქმა-გოდებას. არ შეშინდეთ, არ შედრკეთ, არ გეგონოთ რაღაც მოჩვენება, ან ალქაჯი. არა, ის ქვრივი და ოხერ-ტიელი ნანაა, რომელიც კვირაში ერთხელ ესტუმრება ხოლმე მაროს საფლავს, სანთელს უნთებს, ცრემლებს აფრქვევს და ცოცხალ-მკვდარი მამლის ყივილისას თავის ქოხმახში ბრუნდება.

ამავე დროს-კი ცხოვრება თავისას არ იშლის, ღელავს ბობოქრობს, სდუღს და გად-

---

*) იხ. „ივერია“ № 237.

სამადნო ინსტიტუტში და მაშინვე გამწესებულ იქმნა სამადნო გამგეობის უწყების სამსახურში, სადაც მალე მიიქცია ყურადღება, როგორც მცოდნე ინჟინერმა და კიდევ უფრო, როგორც ნიჭიერმა გეოლოგმა.

როგორც გეოლოგმა, მან მსწავლულთა ყურადღება მიიპყრო მით, რომ დაარღვია ცნობილის აბიხის თეორია დევდორაკის საყინულის შესახებ; როგორც გეოლოგმა და მადნის ინჟინერმაც მან დაუღალავი ღვაწლი დასდო ამიერ-კავკასიაში და ნამეტურ ბაქოს მიდამოებში ნავთის მადნების გამოკვლევას. მისი ფრიად ავტორიტეტული გამოკვლევანი ეხლაც სახარებასავით მოწიწებით იკითხება ბაქოს მადნის ინჟინერებისაგან და უგამოცდილესნი მათგანნი ნაბიჯს არ გადასდგამენ ხოლმე ისე, თუ გრ. გიორგის ძის ნაწერებში არ ჩაიხედეს.

განსვენებულმავე გამოიკვლია ნავთლუხისა და კახეთის ნავთიანი ადგილები და ამ საქმეშიაც აბიხის წინააღმდეგს აზრს დაადგა. აბიხის მოსაზრებით, კახეთის ნავთიანი ადგილები საიმედოა ნავთის მხრივ. გრიგორ გიორგის ძე-კი ამბობდა, რომ საეჭვოა კახეთისა და ნავთლუხის ნავთის მადნების დამუშავებამ ხარჯი დაჰფაროსო...

თავისს გეოლოგიურს გამოკვლევებში გრიგორ გიორგის ძე ერთობ ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო, როგორც შეჰფერის ნამდვილ მეცნიერს. „ათჯერ გაზომე და ერთჯერ გადაჭრა" მისი დევიზი იყო. მთელს თავისს ხანგძლივსა და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაში, მხოლოდ ერთის გამოკვლევის შემდეგ წარმოსთქვა გაბედულად და გადაჭრით თავისი დასკვნა, სახელდობრ მაშინ, როცა მან გამოიკვლია გურიის ნავთიანი მიწები.

ოცს წელიწადზედ მეტია, რაც გეოლოგიური მწერლობა თავისს ყურადღებას აქცევს გურიის მიწებს, როგორც ნავთის წყაროებიანს. არავინ არ უარჰყოფს, რომ გურიაში (სუფსისა და ნატანების ხეობაში) ნავთი არის, ხოლო ვერავინ ვერ ამბობს იმდენი არის, რომ დამუშავებად ღირდეს, თუ არა.

მხოლოდ გრიგორ გიორგის ძემ აღიმაღლა ხმა და სთქვა: თუ-კი წინასწარ, სათანადო სიღრმის ჭის ამოუღებლად შეიძლება რომლისამე ნავთიან მიწების შესახებ ითქვას, რომ აქ არის საიმედო მადანი ნავთისაო, ეს ითქმის გურიის მიწების შესახებაცო.

განსაკუთრებული თავ გადადებული იყო ნამეტურ ს. ჭანიეთურის მიწებისათვის, სადაც იგი არ ეჭვობდა რომ ნავთის უხვი მადნები არსებობსო. საუკეთესო ფირმამ ინგლისელ ნავთის მწარმოებლებისა „Борнъ"-ი, მისის რჩევით, შეუდგა კიდეც 1901 წ. ჭანიეთურში ჭის (буровая скважина) თხრას.

მართალია, არა გამოვიდა რა, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ნავთი არ იყო, ან ცოტა იყო და დამუშავებად არა ჰღირდა. არა გამოვიდა რა იმიტომ, რომ ჭის ამოთხრის დასრულება არ აცალეს იქაურებმა. „ჩვენებურად, ძველებურად" დაუწყეს ჩხიკინი, ყოველს ნაბიჯზე ხელის შეშლა აყალ-მაყალი, საზღვრებზე დავა; ბოლოს იქამდისაც მივიდნენ, რომ ერთი რუმბი ამერიკის დაწმენდილი ნავთიც ჩაუსხეს ჭაში, ვითომ და—„ჩვენი მიწები კაი ნავთიანი მიწებიაო". ინგლისელებმაც რომ დაინახეს, რა „ხრიკიანებთან" აქვთ საქმე, ადგნენ და მიანებეს თავი მათ და მათს მიწებსაც...

მთელს თავისს ენერგიას განსვენებული ანდომებდა იმას, რომ ინგლისელების გული კვლავ მოეგო ჭანიეთურის ნავთიან მიწებისათვის, და რომ სიცოცხლე არ მოსწრაფებოდა, რამდენადაც ვიცით, მისი ცდა სულ უნაყოფოდ არ დარჩებოდა.

განსვენებული მესამე იყო ქუთაისის გუბერნიის იმ შვილთაგან, რომელთაც რუსეთის უნივერსიტეტებში კურსი დაასრულეს: პირველი იყო თ-დი დ. წულუკიძე (მომრიგებელი შუა-კაცი პირველის მოწოდებისა) და მეორე გ. ბ. დოდობერიძე (ნაფიცი ვექილი).

თ. მაგმაძე.

# ჩვენებური ამბები

**ყულევი** (ზუგდიდის მაზრა). ყულევი მდებარეობს მდ. ხობისწყლის ორთავ ნაპირებზე, ზღვის პირას. ყულევს გარშემო აკრავს ხეთის და ხორგის ტყეები და მთელს სამეგრელოში შესანიშნავი ჭაობები—„ნაბადა" და „ჭურია". მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდგან ყულევი იზრდება და დიდდება და 1848 წ. იგი ქალაქად გახდა და, იმ დროს ქალაქად აღიარებული ყულევი, დღესაც ატარებს ამ სახელს, თუმცა-კი ამ დროებით იგი წარმოადგენს საბრალო ნაშთს დიდის და ბრწყინვალის წარსულისას. ოთხი თუ ხუთი ყავახანა, სამი-ოთხი სამიკიტნო, ორი ვითომ-და „ბაკალეინი" მაღაზია, ერთი საწვრილმანო და ორიც ტყის სახერხი ქარხანა, აჰა, იგი დღეს!.. მოსახლეთა რიცხვი არ აღემატება ასს კომლს და, გარდა ორის-სამის ძირეულის მოსახლის მეგრელ-ბერძნისა, დანარჩენი ყველანი ახალ ჩამოსულები არიან სამეგრელოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან. აქ სასურველი ურთი-ერთობა არ არსებობს. სამუშაო საქმეები ბევრია, მაგრამ მუშაობის ყაირათი მაინ-და-მაინც დიდი არ არის და უფრო ცუდაობაში ატარებენ დროს. ყავახანები, ეს ყულევის „კლუბები", მუდამ გატენილია ხალხით, დღე და ღამ. კვირაობით, წირვაზე ხუთი-ექვსი კაცი ძლივს არის და ყავახანები-კი სავსეა ბანქო-ნარდის მოტრფიალეებით. უყურებ-რა ყველა ამას, უნებლიედ გებადებათ თავში ათასი კითხვები: სად გაქრა ყულევის სიცოცხლე, მოძრაობა, რამ შეუხუთა ძარღვები?!

ორი ნავთ-სასვლელი მდინარე, ხობი-წყალი და „ცივი", დღავების სამეფონი, ცხვირის წინ ზღვა ურეცხდეს რომელიმე ქალაქს ნაპირებს და ის ასე მოდუნებულ-დაძაბუნებული იყოს? რა არის ამის მიზეზი? რა და უსწავლელობა ხალხისა, უმეცრება! განა საკმარისია ჩვენთვის ის ორ-კლასიანი სამოქალაქო სკოლა, რომელსაც ხაზინა წლიურად ათას მანეთს ეწვა და რომელშიაც მხოლოდ ორმოცამდე ბალღებია?!

ნუ-თუ ეს ის „რედუტ-კალე", ან ყულევი არ არის, რომელსაც ეწვია 1817 წ. იმპერატორი ალექსანდრე კურთხეული და სამის დღით ისადგურა პირველ გილდის ვაჭრის ნიკოლოოზ მეტაქსის სახლში, სადაც მას მიეგება მთავარი მეგრელიისა გრიგოლი მთელი სამეგრელოის თავად-აზნაურობით?! ნუ თუ ეს ის ყულევი არ არის, რომლის ნაპირები ანაკლიიდგან მთაყვამდე (მდინარეა აღმოსავლეთით 23 ვერსის მანძილზედ) მისმა უდიდებულესობამ იჯარით გამოართვა მთავარს იმავე დროს ოთხის წლით ორ ათასად წელიწადში და, რომლებიც, შემდეგ ოთხის წლისა, ახალის ხელშეკრულობით სახელმწიფოდ იქმნა ჩარიცხული?! ნუ-თუ ეს ის ყულევი არ არის, რომელსაც 1838 წელს ესტუმრა იმპერატორი ნიკოლოოზ პირველი ოსმალოიდგან საბერძნეთის განთავისუფლების მერვე წელს და ჩამოხდა ნიკოლოოზ ჭიონაკის სახლში, სადაც მისს უდიდებულესობას დაუხვდა მთავარი მეგრელიისა ლეონ დადიანი თავად-აზნაურებით? ნუ-თუ ეს ის ყულევი არ არის, რომელიც გააბედნიერა მობრძანებით მეფე განმათავისუფლებელმა? ნუ-თუ ეს ის ყულევი არ არის, რომელსაც ორჯერ 1862—1864 წწ. ესტუმრა კავკასიის ნამესტნიკი დიდი მთავარი მიხეილი?

ზემოხსენებულ უმაღლესს პირთა მობრძანების ამბავი ჩვენ გადმოგვცა ერთმა აქაურმა მოხუცმა პანაიოტიმ და იმის მოწამე-კი თითონა ვარ, რომ 1889 წ. მთავარ-მმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი ესტუმრა ყულევს.

ნუ-თუ ასეთ უმაღლეს პირთათვის საყურადღებო ქალაქი დღეს ასე მივიწყებული და დაობებული უნდა ეგდოს? რამ დაუკარგა ნეტავი მას იერი, სიცოცხლე, ნუ-თუ ფოთმა? მართალია, ფოთმა ჩამოჰხსნა მას შავი ზღვის პირად პირველობა, მაგრამ მეორეობა ხომ შეარჩინა მისი მოხერხებული მდებარეობის გამო. მაშ რაღას შეუჩერებია ყულევის მოძრაობა, წინ-მსვლელობა, რას ჩაუქრია მისი ვარსკვლავი, რას კაურიუნია იგი?? —უგულობას, უკაცობას, უყურადღებობას. ვსთქვათ მართალი მოურიდებლად; ყულევს აღარ ჰყავს გულ-შემატკივარი შვილი, რომელსაც ესარგებლნა მშობელ ქალაქის ძვირფას გეოგრაფიულ მდებარეობით და ისევ გამოებრუნებინა მისთვის სული. არა, ყველა ზრუნავს საკუთარ ჯიბის გასატენად, არავინ ფიქრობს, რომ შეაერთოს იგი გზებით ხობი-ზუგდიდ-ფოთ-ანაკლიასთან, გაემართა მისვლა-მოსვლა, მოეწვია სიმინდის მყიდველები, პატივის ცემით მოეპყრობოდა მისს წარმომადგენლებს, არ ეშინებინა ისინი აბრაკების სახელით და თითონ არ დაჰპატრონებოდა ყოველისფერს, ეზრუნა და შავი ზღვის პირად მდებარე ვენეცია აღედგინა სასიცოცხლოდ! დაესახლებინა ხალხი გავერანებულ მიდამოებზე, მოეწვია ექიმი, გაეხსნა აფთიაქი, ერთის სიტყვით დაემყარებინა ყულევში მოქალაქობა...

მკითხავთ, რა საშუალებით გააკეთებდა ყველა ამასაო? წყაროს და საშუალებას თვით ქალაქში იპოვიდა თაოსანი კაცი და, თუ ის არ იკმარებდა, მიჰმართავდა მთავრობას, რომელიც ასე ყურადღებით ეკიდებოდა ყულევს, და უთუოდ, მიიღებდა სესხს ხაზინიდგან ქალაქის აღსადგენად... მაგრამ, ვაი მე, რაღას ვამბობ, ეგ ხომ ამ დროებით სათუცნებო აზრებია! მხოლოდ ერთი-და დაგვრჩენია ნუგეში და ეს ის გახლავს, რომ ფოთის მხსნელი ნიკოლაძე, როგორც ხმა დადის, ლამობს დასავლეთ და ჩრდილოეთ სამეგრელოის მჭიდროთ დასახლებულ სოფლების შეერთებას ზუგდიდის რკინის გზითაო. ამ ხმებს, მგონია, სიმართლე უნდა ჰქონდეს, რადგან გონების თვალით რომ დააკვირდე, ეგ შეერთება ფოთის კეთილდღეობის და მერმისის უზრუნველ-საყოფელად აუცილებლად საჭიროა და, რაც რომ ფოთისთვის საჭიროა, იმას ხომ აკეთებს ეს კარგი შვილი ქვეყნისა, ეს პატიოსანი ქრისტიანი, ბრწყინვალედ მშრომელი ნიკო ნიკოლაძე. თუ გამართლდა ეს ხმები, მაშინ, უთუოდ, ყულევსაც არ დასტოვებს ღირსი მამულისშვილი უარჩევლად და მისს პატიოსან და თაოსან კაცის სახელს ზედ დიდებულის სახელიც დაერთვის. მაგრამ, მარტო ნიკოც რას იქს, თუ ყულეველებმაც ხელი არ გაანძრიეს და ერთ ადგილზე დგომით სივრცეში იჭვრიტეს!

ხაკო უჩარდია.

# რუსეთი

— როგორც ამბობენ, 1903 წლის გაზაფხულზედ პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის ტეხნოლოგთა პირველი კონგრესი.

— 1903 წ. პირველ იანვრიდგან აგებენ საფოსტო სადგურებს რუსეთის შიდა გუბერნიებში—80, აზიის ნაწილში—20, რუსეთის შიდა გუბერნიების სასოფლო სასამართლოებთან—100, რუსეთ-აზიაში—50.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო შუამდგომლობს სახელმწიფო საბჭოს წინაშე და სთხოვს 40 ათას მანეთს, რომელიც დასჭირდება ლაბორატორიის, აუდიტორიის, ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო ბინის და სასადილოს მოსაწყობად.

— მომ.ვალ 1903 წლიდგან დაარსდება ახალი შტატები წყლის გამგეობაში მოსამსახურეთათვის.

## მდიდარი ლატაკი.

ამას წინად ოდესაში გარდაიცვალა 83 წლის მოხუცი და 60 მილიონ მანეთის შეძლება დასტოვა; სახელი ამ კაცისა არის რალლი. დიდიხანი სცხოვრებდა ოდესაში და საყოველთაო ყურადღებას იქცევდა. თუ ოდესელს ფუფუნებისა და ნებივრობის გამოხატვა უნდოდა, იტყოდა: „ისე დიდებულად სცხოვრობს, როგორც რალლიო". თუ სიმდიდრეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, აქაც ხომ რალლი უნდა დაესახელებინათ, თორემ კრეზი ვისლა ახსოვდა. მაგრამ, თუ ქველ-მოქმედებასა, კაცთ-მოყვარეობასა და სულგრძელობაზედ შეიქნებოდა ბაასი, მაშინ, არ მოგვეცეთ მარცხი, რალლის სახელი არავის წამოსცდებოდა.

ეს შეძლებული კაცი ცხოვრებდა ვეებერთელა ქალაქში, სადაც მდიდარიც ბევრია და ღარიბ-ლატაკი, რასაკვირველია, კიდევ მეტი, მხოლოდ მას არავისთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა; ყოველთვის გაურბოდა იმისთანა საქმეს, რომელშიაც სხვებსაც უნდა მიეღოთ რაიმე მონაწილეობა, და, მაშასადამე, დაუახლოვებდა სახ[illegible]ას; ხალხს ხომ სრულიად მოსხლეტილი იყო. მთელი მისი ქონება გაზ. „ვოლინის" სიტყვით, მისგანვე დაარსებულ ბანკში ეწყო და შემოჰქონდა სარგებელი; მცირე ნაწილი ამ სარგებლისა მის მცირესავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, დანარჩენი-კი იმ მთავარ თანხას ემატებოდა, რომელიც ბოლოს სამოც მილიონათ უნდა გადაქცეულიყო. ყოველ წლობით ოდესას ემატებოდა ახალ-ახალი უზარმაზარი სახლები, რომელზედაც მარმარილოს დაფას მიაკრავდნენ და ზედ რალლის სახელს მოავარაყებდნენ. ასეთი სახლები ათობით ჰქონდა რალლის და ყველა უმთავრესს ქუჩებზედ; რასაკვირველია ეს ანგარიშის კაცი ტყუილ-უბრალოდ არ ააშენებდა იმდენ სახლებს, სარგებლობა ჰქონდა სახეში და, აკი ღებულობდა კიდევაც ათი და ასი ათასობით! განსვენებული მყუდრო ცხოვრების მოყვარული იყო და ყოველთვის გაუნძრევლად უტყუარი სარგებლის აღებას ამჯობინებდა სხვა-და-სხვა ფაბრიკებიდგან სავარაუდო შემოსავალს, ცხოვრობდა კარ-ჩაკეტილი ზღვის პირად მდებარე აგარაკად და, თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ აიძულებდა, ისე თვალით არავის არ ენახვებოდა. მაგრამ რამდენად ადამიანი ეჯავრებოდა, იმდენად უყვარდა ძაღლები, რომლებიც ათობით და ოცობით გამოულეველი იყო მის სახლში. ამ ძაღლებისათვის მიჩენილი ყავდა საკუთარი ექიმი, ფერშლები და მეთვალყურეები, საუკეთესო სანოვაგით ჰკვებავდა, აწვენდა თბილს ლოგინში, ასეირნებდა ყოველ დღე დანიშნულ დროს და სხ. ერთი სიტყვით, ძაღლებისათვის იგი იყო ნამდვილი „მშობელი მამა"... ამბობდნენ, ძაღლების მოვლასა და ექიმობას თავის შინაურ ექიმ-ბეითლებსაც არ ანდობდა, არამედ თავის ხელით უვლიდა, თუ-კი ძაღლი უქეიფოდ შეიქნებოდაო, თავის ხელით მიართმევდა წამალსა და უმზადებდა ხოლმე საჭმელსაო. აგარაკზედ ერთი პატარა სასაფლაო ჰქონდა და, თუ რომელიმე პატივცემული მურია ან ყურშა გამოესალმებოდა წუთი-სოფელს, იქ მიეცემოდა საუკუნო განსვენებას; ამ ბედისა და მილიონერის ნებიერებს ზევიდგან ეფინება ნაზი ჩრდილი სამხრეთის საუცხოვო ხე-ბუჩქებისა, რომელნიც, ალბად, ესაუბრებიან მათ სიყვარულსა და ნეტარებაზედ; მოუთხრობენ მათ, რომ ეს წუთისოფელი არც ისე დაუნდობელი და მუხთალია, როგორც ზოგიერთნი ლაპარაკობენ. კიდევ მოიძებნებიან ისეთი კეთილი ადამიანები, რომლებიც ძაღლებისათვის არას დაიშურებენ, რადგან მხოლოდ ძაღლებისადმი გრძნობენ სიყვარულს. ამისათვის ამ ქვეყნად ამაოა მარტო ყეფა,—ხშირად ლოკვასა და კუდის ქნევით ლაქუცს მეტი გასავალი აქვს.

თვით მილიონერი, როგორც გაზ. „ვოლინის" კორესპონდენტს მოუკრავს ყური, დაიმარხება იმავ აგარაკზედ, და იმავ ბაღში; მის საფლავზე უეჭველია წამოსჭიმავენ საუც-

---

მოდის და მიდის, მიდის წინ ჩქარის ნაბიჯით ხოლო ადამიანები, ზოგი ადრე, ზოგი გვიან, ჩადიან შავ-ბნელ საფლავში.

ტრ. რამიშვილი.

## ძღვნად სომხისა და ქართველ მოწინავე მოღვაწეებს.

(„ნორდარი" №№ 158, 159)

ამას ყველაფერს აი რა პასუხი აქვს. უეჭველია ზოგი ისეთიც არის, რომ ბედის საძებნელად, თუ გამდიდრების აზრით სტოვებს სამშობლოს. კალიფორნია, ელდორადო, ტრანსვაალი, ციმბირი, ბაქო და სხვა ადგილები, როგორც თილისმა, ისე იზიდავს ქვეყნიერობის შორეულ კუთხეებიდგან სხვა-და-სხვა ბედის მაძიებელს. მაგრამ ბედის მაძიებლებშიაც არის გამონაკლი. ამ სურვილის მისაღწევად საჭიროა სულიერი ძალა, მხნეობა, ჭკუა და მტკიცე მოწადინეობა. ამ თვისებათა პატრონნი ყოველგან და ყოველ ერში ცოტაა. საერთო კანონი-კი ის არის, რომ **მარტო ის სტოვებს თავის სამშობლოს, ვისაც თავის ოჯახში, თავის სამშობლოში ცხოვრების თავი არა აქვს. აი მიუცილებლობის კანონის უშუალო განაჩენი, რომელსაც ექვემდებარება ყოველი ხალხი და ყოვლის უწინარეს-კი ინდივიდი.** მაშასადამე ადამიანი სტოვებს თავის სამშობლოს მაშინ, როცა მტერი სამკვიდროს წაართმევს და განაძევებს და ან მაშინ, როცა სამშობლოში ცხოვრების ილაჯი გაწყვეტილი ექმნება.

ამ საზოგადო კანონს დაექვემდებარენ სომხებიც, როცა მათ დაჰკარგეს მოქალაქობრივი დამოუკიდებლობა და იდევნებოდენ სპარსთა და თურქთაგან და, სხვათა შორის საქართველოსაც შემოეხიზნენ. ქართველთ მეფენი სიყვარულით ეპყრობოდნენ, ყოველგან უპირატესობას აძლევდენ, რათა ჰქონოდათ თავიანთი საერო თვითმართველობა. საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ წუთამდე საქართველოს ყველა ქალაქებში სომხებს განაგებდენ ან მათი მემკვიდრეობით „მელიქები", ან მემკვიდრეობით „მამასახლისები *)". როცა 1809 წ. ტფილისის ერთ მოქალაქეს სასამართლომ გარდაუწყვიტა სხეულით სასჯელი, მაშინ მთავრობას არზა მიირთვა, „მოქალაქე" ვარო, რაიცა უდრის რუსის საპატიო მოქალაქობას და ამიტომ კანონით არ შეიძლება სხეულით სასჯელს მივეცეო.

მას აქეთ რუსის მმართებლობამ გამოძიება დანიშნა „მოქალაქობის" უპირატესობათა გამოსარკვევად. მთავრობამ გამოძიება განაგრძო 1863 წლამდე, როცა სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა, საქართველოს მოქალაქობა უდრის რუსის საპატიო მოქალაქობასაო.

მთავრობის გამომძიებელთაც მაშინვე განმარტეს, ქართველები ბუნებით ერიდებოდნენ ქალაქად ცხოვრებას და მოქალაქეთა წოდებას სომხები შეადგენდენო.

ამიტომაც ქალაქად ხელოსნობა სომხების ხელში იყო. საქართველოში ხელოსნობის განმავითარებელი ელემენტი სომეხი ყოფილა. ხოლო ვაჭრობა საქართველოში, როგორც პატრიარქალ სახელმწიფოში, აყვავებული როდი ყოფილა. ვაჭართა წოდებას, როგორ საზოგადოებრივ ძალას, მეორე ადგილი სჭერია. საქართველოს ხალხს შეადგენდენ უმთავრესად თავად-აზნაურები, ხელოსნები და სოფლელები. ვაჭრობა კავკასიაში განვითარებას იწყებს რუსთა მფლობელობიდგან დაწყებული. მხოლოდ იმ დღიდგან გზები უფრო უშიშარი შეიქმნა ავაზაკობისაგან, ვაჭრობამ იწყო ნელნელა აყვავება და ვაჭართა წოდებაც დაისახა. **საქართველო, აგრეთვე ძველი სასომხეთიც, პატრიარქალი სახელმწიფოები იყო, სადაც ხალხის უმთავრესი საქმე იყო მიწათ-მოქმედება, მწყემსობა და ხელოსნობა.** მაშასადამე, საისტორიო გარემოებამ თვითონ შეჰქმნა ის მოვლენა, რომ საქართველოს ქალაქებში „მოქალაქენი" უმთავრესად ეკუთვნოდნენ სომხის და არა ქართველთ ერობას. ეს მოვლენა უსათუოდ დროებითია. შორს არ არის ის დღე, როცა საეკონომიო საზოგადო კანონი კავკასიაში შეჰქმნის სავაჭრო, სამრეწველო, დიდ-კაპიტალისტებისა და სხვა წოდებას! შესაძლოა, ეს წოდებანი ეკუთვნოდნენ სხვა-და-სხვა ერობას—მკვიდრთა, თუ უცხოელებისას. ის ცილობაც, რომელსაც ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტი განგებ აჩენს და ორ მოძმე ხალხთა შორის განწყობილებას ტყუილ-უბრალოდ სიმკვეთრის სახეს აძლევს, თავისთავად მოისპობა. მომავალში, როგორც მკითხველიც დაინახავს ჩვენის წერილის შემდეგ კარებში, კავკასიაში ეკონომიურად მობატონე ელემენტი იქმნებიან არც ქართველები, არც სომხები და არც თათრები, არამედ უცხო ვინმე, უფრო მარჯვე და უფრო ძლიერ ერთა წარმომადგენლები. კავკასიის მკვიდრ ხალხებს ხელში, სულ ცოტას გამოკლებით, დარჩებათ „წვრილმანი აღებ-მიცემობა", „მებუფეტობა", „მეკურტნეობა"—საზოგადოდ მეორე ხარისხოვანი და მესამე ხარისხოვანი საქმეები: **ეკონომიურად ქართველები, სომხები და თათრები დამონავდებიან.**

### II

რა მიზეზია, რომ ქართველები ასის წლის მყუდრო საერთო ცხოვრების შემდგომ საქართველოს ხსნას ეძებენ სომხთა გაყრაში? თუ გულდამშვიდებით და პირუთვნელად გამოვიძიეთ ქართველ პუბლიცისტების მიერ მოტანილი მიზეზები, დავინახავთ, რომ ამ მიზეზებს საფუძველი არა აქვთ. ცნობილი ქართველები ჩივიან, სომხებს საქართველოში მევახშეობა გაუხდიათ საქმედ და ქართველ ხალხს სიმდიდრეს აცლიანო. უეჭველია, მევახშეობა საზიზღარი საქმეა და საეკონომიო ცხოვრებაში ხალხის კეთილდღეობის საფუძვლის დამარღვეველი ბოროტებაა, რომლის წინააღმდეგ იბრძვის კანონი, სვინიდისი და ყოვლის ერის შემგნებლობა. მევახშე, ქართველი იქნება, სომეხი, რუსი, ებრაელი, თათარი, თუ სხვა, საზიზღარი ქმნილებაა და საზოგადოების მავნებელი წევრი. უკეთუ ქართველთა აგიტაცია მიმართულია მევახშეებისაკენ, სულით და გულით თანავუგრძნობ ამ მიმართულებას. მაგრამ როცა აგიტაციას ეძლევა ძმის მკვლელობისა და ერის მოძულეობის ხასიათი, **არას გულისთვის არ შემიძლიან თანავუგრძნო ადამიანის მოძულეობას და სამტრო მიმართულებას.** მევახშეობა გავრცელებულია კავკასიის ყველა მაზრებში. ის მაზრები, სადაც ქართველობა მკვიდრობს, გამონაკლები როდია. მევახშეობას თანასწორად მისდევენ თათრის „მაშადები" და „ჰაჯიები", სომხის „მილდისები" და „ჩარჩები" და ქართველთა ამნაირივე ელემენტი. მაშასადამე, ამ საზოგადოებრივის სენის წინააღმდეგ საჭიროა საერთო ძალით და საერთო ღონისძიებით ბრძოლა და არა კაცთ-მოძულეობით. როდესაც საქმეს ვიხილავთ არა გულძვირად, მაშინ საკითხი სულ სხვა სახით გვიდგება თვალწინ. ხოლო როცა ადამიანი მსჯელობს გულის თქმისა და მტრობის გავლენით, გონებით ბრმავდება და ჭეშმარიტების მართალ პრინციპს ჰშორდება. მაგალითად მოვიყვანოთ ერთაშორის შემგნებლობა და ენა-დაკარგული, საქართველოში შობილი სომეხი და ვნახოთ, თუ წინასწარ აზრიანობის გავლენისაგან რა დაბრმავებულია იგი. სიტყვა შეეხება თავად ა. მ. არღუთაშვილს. საზოგადოდ კაცთ-მოყვარეობით აღძრული ამხედრებულიყო „სომხის" მევახშის წინააღმდეგ და „ივერიის" პატივცემულის გაზეთის მსგავსად ამტკიცებდა, კახეთში ქართველის სოფლის—კაცის კეთილდღეობის მტრები სომხები არიან, რადგანაც მევახშეობას ადგანანო. ჯერ კიდევ 1887 წ. ასეთი აზრი მან განაცხადა თავის თხზულებაში *), როცა ოფიციალურ იკვლევდა თელავის მაზრის გლეხთა ოჯახობრივ მდგომარეობას. ამ ჩივილმა მე გამაკვირვა, რადგანაც 1876 წ. დაწყებული ყურადღებით ვსწავლობდი კავკასიის ყველა ხალხის ცხოვრებას. კარგად ვიცოდი, ყველგან იყვნენ მევახშეები. მაგრამ თანხმა არ ვიყავ და ვერც ახლა დავეთანხმები, რომ საქართველოში მხოლოდ სომხები მევახშეები იყვნენ, რადგანაც სომხის გლეხები თავის შრომის მოყვარეობით და კეთილშობილებით ქართველ გლეხს არ ჩამორჩებიან უკან. ისე რომ ქართველი მოსამართლე ადამიანს, როგორც შრომა. დავიწყე კითხვა თავადის არღუთაშვილის შრომისა და ვნახე, რომ ქართველი და სომეხი გლეხი ძმურ სიყვარულით და საერთო ხვედრით დაკავშირებული არიან. მათი შეიძლებოდა მაგალითი ავლოთ ქართველისა და სომხის ნახევარ კაცებს. ხალხის საღი გონება და თან დაყოლილი ჭკუა უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მოუნელებელი და ცუდად მოწონებული ცოდნა.

განვაგრძე თავადის გამოკვლევის კითხვა. ცნობილი რამდენიმე სოფლად მოსახლე ქალაქელს, რომლებიც სოფლად „ხარობას" ეწევა, გლეხი კაცების ხვრები უცილია. წაიკითხე თავადის მოტანილი ნუსხა და საქმე გამოარკვია, რომ ამ ნაყოფთა შორის ცოტა არ გახლავს ეროვნებით და მოღვაწეობით ქართველი. ჩემთვის ეს საქმე ახალი ამბავი როდი იყო. ჩემის ფიქრით, მევახშე მევახშედ დარჩება, სომეხი იქნება, თუ ქართველი. კვალად დავრწმუნდი, რომ „**წინასწარ აზრიანობა უთანაბრებს ჭკვიანის თავს რეგვენის თავსა**".

პროფესორი ა. ელიაზარიანი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „Акты Кавк. Арх. комм." т. I. 1, 2, № 159, стр. 196, № 577, стр. 745.

*) იხ. „Матеріалы для изученія Экономическаго быта Госуд. крестьянъ Закав. Края", Тифлисъ 1887. т. V, 2. 1-я стр. 7 до 37—56.

ხოვო ძეგლს და ზედ წააწერენ ოქროს ანბანით: „ქვრივ-ობოლთა და ღარიბ-ღატაკთათვის დამაშვრალიო“. თუ სააქაოს ძაღლების ალერსში ატარებდა თავის სიცოცხლეს, ბედმა არ უმუხთლა და საიქიოსაც ძაღლების მახლობლად მოუპოვა საუკუნო განსასვენებელიო.

ჰეი, ჰეი! სამოცი მილიონი! კაცის ხელში იყოს ეს არხიმედის ირწევანი (რიჩაგ), რომლის მეოხებითაც შეიძლებოდა ისეთი კეთილი საქმე გაკეთებულიყო, რომ საუკუნოდ სადიდებლად და სათაყვანოდ დარჩენილიყო მისი პატრონის ხსენება. ამ კაცის ხელში იყო ისეთი საშუალება, რომ შეეძლო ეშველა ათას გაჭირვებულისათვის, დაეხსნა ათასი გაჭირვებული შიმშილ-წყურვილისაგან, სულითა და ხორცით გახრწნისაგან. შეეძლო გამხდარიყო ნამდვილ უკვდავების წყაროთ მთელის მილიონ ხალხისათვის—და ის-კი თავის კეთილ გრძნობის მთელ ნაყოფს რაღაც ოციოდ ძაღლისთვის ხარჯავდა. საბრალო მდიდარი! თუმცა ფუფუნებასა და განცხრომაში სცხოვრობდა, ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი თავს ეყარა, მაგრამ არსებითად იგი იყო ღატაკზედ-უღატაკესი.

## უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** გაზ. „Uaterland“-ი, რომელიც დაახლოვებულია ვენის უმაღლეს საზოგადოებასთან, რჩევას იძლევა, დეპუტატთა პალატის კრებები შევაჩეროთ და ჩეხგერმანელთა სამშვიდობო კონფერენცია მოვიწვიოთო. გაზეთი ამტკიცებს, რომ აუცილებლად საჭიროა ჩეხურ ენას ბოჰემიაში მივანიჭოთ ის უფლებანი, რომელსაც თვით ჩეხები თხოულობენო.

— ბუდაპეშტიდგან იუწყებიან, თუმცა ბევრნი უარ-ჰყოფდნენ, მაგრამ დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა ფონსელლიმ საბოლოოდ გადასწყვიტა სამსახურიდან გადადგომაო. როგორც ამბობენ, მის ადგილზე დაინიშნება უნგრეთის ეხლანდელი ფინანსთა მინისტრი ლუკაჩი. ამ თანამდებობისათვის უფრო შესაფერისი კაცი გრაფ ალბერტ აპონი იქნებოდა, მაგრამ კარის-კაცთა და დიდებულთ უხერხულად მიაჩნიათ მისი სამინისტროს მეთაურად დანიშნაო.

**გერმანია.** რადგან გერმანიის პარლამენტსაც ობსტრუქციით ემუქრებიან სოციალისტები, ცენტრის დასსა და კონსერვატორებს შეუდგენიათ პროექტი საპარლამენტო წესდებულებისა, რომელმაც საგრძნობლად უნდა შეჰხუთოს დეპუტატთა თავისუფლება. ამ პროექტზე უკვე 146 დეპუტატს უწერია ხელი. ამის გამო „Uorwaerts“-ი აცხადებს, სოციალისტები არას დროს არ დასთანხმდებიან ასეთ წესდების შემოღებას და, თუ მაინცა და მაინც მოწინააღმდეგეებმა სიმრავლით გვაჯობეს, ჩვენ მაინც შევსძლებთ ხელი შევუშალოთ და ჩვენს გზას არ ვუღალატოთო.

ამ გვარად გერმანიის პარლამენტსაც ისეთივე გაჭირვება მოელის, როგორიც ავსტრიისას.

გასულ სამშაბათს რეიხსრატის კრება ორ უკიდურეს მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. დაიწყო თუ არა კრება, შეიტაკნენ ებრაელთა-მოწინააღმდეგენი და მუშები ეხლახან ვენაში მომხდარ არჩევნების გამო. კამათი გარდაიქცა საშინელ ლანძღვა-გინებად; იმდენად გაცხარდნენ მოპირდაპირენი, რომ კინაღამ ხელდახელ დაერივნენ ერთმანერთსა. კრება დასრულდა მინისტრ-პრეზიდენტის კერბერის სიტყვით. მართალია ამ სიტყვამ სრულიადაც ვერ შესცვალა პარლამენტის მდგომარეობა და ვერ გაუადვილა საქმე მთავრობას, მაგრამ ცოტა ხანს მაინც დაამშვიდა აღელვებული და წრეს გადასული დეპუტატები.

კრება იმით დაიწყო, რომ მუშები შეეკითხნენ პარლამენტს პოლიციის შეუწყნარებელ საქციელის შესახებ. ვენის უკანასკნელ არჩევნების დროს. კერბერმა თვით გასცა მუშებს პასუხი. მინისტრ-პრეზიდენტმა განმარტა, პოლიციას არავითარი განკარგულება არ მიუღია მთავრობისაგან,—ვენის მუშათა სახალხო სადგომში შეუცვივდით და ძალადობა იხმარეთო; მაგრამ რას იზამდნენ, როდესაც სწორედ ამ სადგომიდან მათ დაუშინეს ლუდის ფათქები; როცა ამ უწესოების ასაკრძალავათ პოლიციელებმა მოინდომეს შიგ შესვლა, მუშები კეტებით დაუხვდნენ და სულ თავპირი დაამტვრიეს. ამ სიტყვებზე ასტყდა უხამსი ლანძღვა-გინება ებრაელთ-მოწინააღმდეგეთა და მუშათა შორის. მუშები ებრაელთ მოწინააღმდეგეებს უყვიროდნენ: „ეს თქვენგან შეთხზული ცილის-წამებაა! არჩევნები ბევრად უარესი იყო, ვიდრე გალიციაში; გალიციის შლიახტა თქვენთან შედარებით—უუპატიოსნესი ხალხია! ტყვიით უნდა მივგებებოდით, როცა პოლიცია შინ შემოგვეჭრა. თქვენ—ქურდი და ყაჩაღები ხართო“! ლიუეგერმა ხმა აიმაღლა და მუშებს მიაძახა: „ავაზაკებოო!“ შეიქნა წარმოუდგენელი ხმაურობა: „ქურდებო“, „ავაზაკებო“! დაწყნარდებოდა თუ არა კრება, ლიუეგერი კიდევ წამოიყვირებდა რასმე და ისევ ასტეხდა ერთს ალიაქოთს.

## თეატრი და ხელოვნება

**რუსული თეატრი.** საშაბათს ბ. კრასოვის დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ედ. როსტანის ცნობილი დრამა „არწივის მართვი“. დრამის გმირი ნაპოლეონ პირველის შვილია გერცოგი რეიშტადისა სხვათა შორის მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან თავადი მეტერნიხი, ავსტრიის იმპერატორი ფრანცი და მარი-ლუიზა—ნაპოლეონის ცოლი. დრამა ლექსად არის დაწერილი, რუსულ ენაზედ უთარგმნია ქ-ნ შჩეპკინა-კუპერნიკისას.

კრასოვის დასმა ეს დრამა ძალიან სუსტად წარმოადგინა; მოისუსტებდა თვით ნაპოლეონის შვილის როლის აღმასრულებელი ქ-ნი შატელენი; უხეირო დიკცია და დეკლამაცია, შაბლონური მიხვრა-მოხვრა და სახის უმოძრაობა, რაღა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდნენ მსახიობ ქალს — გადმოეცა ის ძლიერი სულის კვეთება, რასაც ჰგრძნობს დიდებულის ნაპოლეონის მემკვიდრე, რომელსაც განცდილი აქვს თავისი მოწოდება, მაგრამ, გარემოებათა წყალობით, მისი სულთა-სწრაფვა ზედ შესკდება მეტერნიხის სატანისებურ ინტრიგას, ვით მჩქეფარე ზვირთი კლდესა. იმის გარდა, რომ ქ-ნი შატელენი საზოგადოდ უხეიროდ კითხულობს ლექსს, ამასთანავე უცნაური ხმა აქვს, რომელიც სჩრდილავს სიტყვის გამომეტყველებას და ეს სიტყვა თითქოს ხმაში იკარგება. ამის გამო არა-ერთი შესანიშნავი ადგილი მისის როლისა მსმენელისათვის გაუგებარი დარჩა. მაგალითად, სულის აღმძვრელი მონოლოგი ვაგრამის ველზედ, როცა პრინცს ჰალიუცინაცია ემართება და ეზმანება სურათი ვაგრამის ბრძოლისა,—სულ უგრძნობლად წარმოსთქვა; მსმენელთ ესმოდათ მხოლოდ აქა-იქ შეკვილება მსახიობისა; მთლიანობა-კი ამ მონოლოგისა მთაინთქა ქ-ნ შატელენის ხმაში და მოჩვენებათა ძლიერ ძახილში.

საზოგადოდ ეს სცენა ძალიან ფერ-მკრთალი გამოვიდა, რადგანაც უხეიროდ იყო მოწყობილი; საქმე იმაშია, რომ პრინცის ზმანებით ავტორს უნდა დახატოს საშინელი სურათი ბრძოლისა; ამისათვის აქა-იქ მოისმის მიმკრთალებული, ძინელებული კვნესა-ძახილი მომაკვდავთა თუ დაჭრილთა; ამასთანავე სადღაც შორს ბუნდოვანად თვით მათი აჩრდილებიც უნდა გამოჩნდეს; მაგრამ ყველა ამას ისეთი მიმკრთალებული იერი უნდა ჰქონდეს რომ მაყურებლის ილიუზიას უხეშად არ შეეხოს და იგი გრძნობდეს, რომ ეს მხოლოდ ჰალიუცინაცია მომქმედ პირისა და არა სინამდვილე. ჩემის აზრით, მსახიობი რომ ძლიერის ნიჭის პატრონი იყოს და შეეძლოს ეს საშიშელი მომენტი პრინცის სულიერ ვითარებისა დიადის მხატვრობით გადმოგვცეს, მაშინ საჭირო როდი იქნებოდა, რომ ლანდები, ან ბრძოლის სურათი აღბეჭდილი იყოს სცენაზედ; საკმარისია მარტო მსახიობის გატაცებული თამაშობა, რომელიც აღაგზნებს მაყურებლის გრძნობას და იგი თვის ოცნებაში უფრო ძლიერის ფერადებით აღბეჭდილს წარმოადგენს ამ ბრძოლის სურათს, ვიდრე სცენაზედ არის ხოლმე, განსაკუთრებით უხეში იყო ეს სურათი არტისტიულ საზოგადოების სცენაზედ: დაჭრილ-მომაკვდავნი მეტისმეტად ხმა-მაღლა ყვიროდნენ სცენის გარედ და ბრძოლის სურათებიც ეკრანზედ იყო გამოფენილ-განათებული ელექტრონით, თუ ჯადო ფარნით; და ყველა ეს-კი ისე უხერხულად იყო მოწყობილი, რომ გეგონებოდათ სახალხო აუდიტორიაში ხართ და ქალბატონი შატელენი ეკრანზედ გამოკიდებული სურათის შინაარს გიხსნისო.

ბ-ნი უგრიუმოვიც ძალიან უფერული იყო სერჟანტ ფლამბოს როლში; ლექსს კითხულობდა ჩამღერით; ამას გარდა, ამ მსახიობის გამოთქმას რაღაც ნაძალადეობა ეტყობა. თითქოს ვიღაც იჭერდეს იმის ბაგეთაგან აღმოზიდულ სიტყვებს.

კარგი იყო მეტერნიხის როლში ბ-ნი გარლინი და უკეთესი იქნებოდა, მეტი ზვიადობა და ძლევა-მოსილების იერი რომ ჰქონოდა.

დანარჩენ მსახიობთ ნაკლებად ეტყობოდათ ჰერცოგობა, გრაფობა და სხვა ტიტულოვნობა. ტანისამოსის მხრივ პიესა ღარიბად არის მოწყობილი. განსაკუთრებით პაწია პრინცების მალაკანურმა ფეხ-სამოსმა მიიქცია მაყურებელთა ყურადღება და ქალთა არა ისტორიულმა სამკაულმა.

თვით პიესის შინაარს მალე გავაცნობთ მკითხველთ. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

## სასამართლო

5-ს ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებაში გაარჩია იაკობისა და თომა ბაბალოვების საქმე; თანახმად 9, 1666, 2 და 3 ნაწილის 1671 მუხლი. სისხლის საქმეთა წესდებით, ჰბრალდებოდათ 32 მან. ვექსილის 3200 მანეთიან ვექსილად გადაკეთება. 8 ოკდომბერს 1901 წ. მიხ. დავიდოვმა შეიტანა საჩივარი ანდრია ტოლსტიკოვზე, რომელსაც ვითომ მიეცა 3200 მან. ვექსილი იაკობ ბაბალოვისათვის. საჩივრის შეტანის უმალ ანდრია ტოლსტიკომ ვექსილის სიყალბე გამოაცხადა და საქმე გარდაეცა სისხლის სასამართლოს.

საქმის გარემოება შემდეგია:

იაკობ ბაბალოვი იდგა თავის საყვარელდითურთ თეკლე კატით ტოლსტიკოს სახლში; თვით ტოლსტიკო არაყის სმას ეტანებოდა და, თუმცა სახლის პატრონი იყო, მაგრამ ფული ყოველთვის უჭირდა; ამისათვის სთხოვა თავის მდგმურს სახლი და ეგირავებინადა გასამრჯელოდ დაჰპირდა 32 მანეთს. რადგანაც ფული არა ჰქონდა 32 მანეთის ვექსილი დაუწერა. მაგრამ იაკობ ბაბალოვმა „32“-ს ორი ნოლი მოუმატა ბოლოში და გამოვიდა 3200 მანეთი.

ტოლსტიკომ სასამართლოშიაც იგივე აჩვენა, რაც გამომძიებელთანა სთქვა, ესე იგი ვექსილი ყალბიაო, სხვათა შორის მსაჯულმა ჰკითხა მოწმეს შავერდოვს, რომელმაც სთქვა ფიც-ქვეშ, რომ მის თვალ-წინ ნოტარიუსის მდებროვის კანტორაში, სადაც იგი მსახურობდა, ვექსილი დაიწერა და ეს ვექსილი 32 მანეთიანი-კი არ იყო, არამედ დიდის თანხისაო. მაშასადამე, გადაკეთება 32-სა 3200 მანეთად სრულებით საჭირო არ იყოვო.

ამ მოწმის ჩვენებით იხელმძღვანელა სასამართლომ და სიყალბე ვექსილისა უარ ჰყო და ორივე ძმები იაკობი და თომა ბაბალოვები გაამართლა. თვით სამოქალაქო საქმე გარდაეცა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1-ს სამოქალაქო განყოფილებას. სხდომა გათავდა ღამის თორმეტ საათზე. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცნი ვექილნი: ჩემესოვი და ტურკევიჩი.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 ნოემბერი

**გროზნა.** ამ უკანასკნელს. დღეებში ჩეჩნებმა მოჰკლეს სამი კაცი და გაირეკეს ბევრი საქონელი.

**ტიანძინი.** ჩინეთის მოხელეებმა ვითომცა შეჰკრეს ტნიჩჟოუს მადნები. ინგლისის ბაირაღი მადნებში ჩამოუშვეს. ამბობენ, ესრეთი მოქმედება მამართულია წინააღმდეგ ბელგიელთა, რომელთაც ჰსურდათ მადნის სათხრელი მანქანა დაედგათ ინგლისის მადნების გვერდზე.

**ჰონკონგი.** ძალადობის ხმარებამ ჰონკონგსა და კანტონს შუა შიშიანობა გამოიწვია.

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყებენ ტოკიოდგან, რომ ნიშნები სამინისტროს დაცემისა ძლიერდებაო.

**ანტვერპენი.** ნიდერლანდიაში ფინანსთა მინისტრს ჰსურს შემოიღოს დამატებითი გარდასახადი უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილს შაქარზე. გარდასახადი დაუბრუნდებათ შაქრის ფხვნილად გამტანთ.

**პეტერბურგი.** პრინცი ლუდოვიკო-ნაპოლეონი გამართა კავკასიას, სადაც ითვლება სამსახურში.

6 ნოემბერი

**ბირმინჰამი.** ჩემბერლენს განუცხადებია, სამხრეთ-აფრიკას იმ აზრით მივდივარ, რომ დიდი იმედი მაქვს მისის საუკეთესო მომავლისაო.

**ლონდონი.** ინგლისის რაზმი შევიდა ბაზირისთა ქვეყანაში. მცხოვრებთა უმრავლესობამ თხოვნით მიჰმართა ინგლისელებს, შეგვატყობინეთ ზავის პირობანიო.

**იერუსალიმი.** ხმა გავარდა, ხოლერა საოცრად მძვინვარებს იაფაშიო.

**პარიჟი.** დელკასემ მიიღო პალატის სახალხენო კამიისა თავმჯდომარე ეტიენი, რომელმაც აუწყა სიამის ხელშეკრულობის წინააღმდეგი გადაწყვეტილება. დელკასემ უპასუხა, ხელშეკრულობა სასარგებლოა საფრანგეთისათვისაო. როგორც ირწმუნებიან, დელკასე მაინც მზადაა ხელახალ მოლაპარაკებას შეუდგესო.

**საიგონი.** ჩრდილოეთ სიამში დაიწყო აჯანყება, რომელიც გადასახადთა აკრეფის დროს ძალადობამ გამოიწვია.

**ბელგრადი.** მთავრობა სამსახურიდგან გადადგა.

**სოფია.** კრების სხდომები ხელახლად დაიწყო.

**პეშავერი.** ბაზირისთა საწინააღმდეგოთ გაგზავნილ ექსპედიციას საოცარის შეუპოვრობით დაუხვდა მტერი. საჭიროა ნიჯადი (მაშველი ჯარი).

**ბერლინი.** პანტაფელესა და სალონიკში მიწის ძვრა იგრძნეს.

**ქაირი.** ციხის მაღაზიის ნახშირის საწყობი აფეთქდა. მოკლულია 18 ეგვიპტელი.

**კილი.** პრინც ჰენრიხის ციხე-დარბაზში გამართა ნადიმი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ კონტრ-ადმირალი შტაკელბერგი და რუსეთის გემთა უფროსები.

**პეტერბურგის ბირჟა**, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,37½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,27½ |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 99⅜ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 94¼ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 478½ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 366½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 293½ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89⅝ წვ. გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,100 გაყ. |
| აქციები ,, „ „ „ | 510 წვრ. გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 5,010 გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 440 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 227 გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | — |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

## სასამართლოს შესახები ცნობანი

9 ნოემბრისთვის.

1. დავა თოფურიებისა, ცომაიათა და მალიევებისა.
2. დავა გრ. მაჰავარიანისა და სპ. მაჰავარიანის მემკვიდრის კნ. ბარბ. წერეთლისა.
3. გიორგი ჩხოტორაშვილისა და ბაქოს რკინის გზის საზოგადოების დავა.
4. ლუტაძისა, იშხნელისა, ქავაძისა და გოგბერაშვილის დავა.
5. მიხეილ მონაბეროვისა, დანიელ დავარაშვილისა და ისაკა ცინცაშვილის დავა.
6. დავა ატევისა და სვიმ. გაბანაშვილისა.
7. სარაძისა და აპ. ჩხეიძის დავა.
8. დავა კნ. დესპინე წერეთლისა და მუსტ. ალიხანუზ-ოღლის საქმის თაობაზედ.
9. ბაბული ბახტაძის საქმე.
10. ბახტაძეებისა და სადიხ-ხანუნ აბაშიძის დავა.
11. დავა გაბრიელ ფიჩხაძისა, მიხეილ კოკიტაშვილისა და ვას. ლორთქიფანიძის საქმეზედ.
12. ივ. ბაქრაძისა და მატრონა მგალობლიშვილის დავა.
13. ტარიელ ნიკოპაძისა და ს. კირვალიძის დავა.
14. დავა კოხინიძისა და მიხ. ხითარაშვილისა.
15. საქმე კობახიძისა და გ. ვასილიევისა.
16. საქმე რომ. ურდიასა და თომა გაბისონიასი.
17. გრ. კირიასი და პილა უჩანაიშვილის დავა.

## განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

### სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს. (წ.)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის 12 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწა ტფილისის პირველ ნაწილში, სატივოზე, ზომით სამი დესიატინა 1748 ოთხკუთხი საჟენი. მსურველთ შეუძლიანთ პირობები გაშინჯონ გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6—1)

20 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე ტფილისის სომხთა ნერსესიანის სალიერო სემინარიის საბჭოსაგან 1903 წ. 1-ს იანვრიდგან გაიცემა იჯარით ნახევარი ნაწილი იმ **სახლისა**, რომელიც შემოწირულია ამ სემინარიის სასარგებლოდ **თაქუა პანასოვისაგან**—მეორე ნახევარი ამ სახლისა ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს მიხ. პოვ. ივანოვს. ეს სახლი იმყოფება ტფილისში მე-7-დე უბანში, კახეთის მეედნის უკან, სირაჯხანის აღმართის მხარეს. სემინარიის ნაწილს ამ სახლისას წელიწადში შემოაქვს 750 მანეთი.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან შუადღის 1-ლს საათამდე. (3—454—1)

10 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე **ტფილისის სომხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის საბჭოსაგან** 1903 წ. 1-ლს იანვრიდგან გაიცემა იჯარით

სამ სართულიანი სახლი,

რომელიც ეკუთვნის ამ სემინარიას და რომელიც იმყოფება ტფილისში მე-3-მე უბანში სალდათის ბაზარში, პუშკინისა და გრაფის ქუჩებზე სახლის ქვემო სართულში 22 დუქანია თავისის სარდაფებით. სალდათის ბაზრისაკენ ზემო სართულში 9 ოთახია, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ტრახტირი „ვარშავა“, ეზოში 4 ოთახიანი ფლიგელია. სახლის ქირა 15827 მან.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან, შუადღის 1 საათამდე. (3—453—1)

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія
„Локсотисъ“

Дозволено цензурою. 6 Тифлисъ, ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Ворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.